ნონა პოპიაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სპეციალისტი (ინგლისური)

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი ინგლისურ ენაში

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა. პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში და აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება, რომელთა გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს ინგლისურის, როგორც უცხოური ენის, მასწავლებლებისათვის.

მასტერ კლასის შედეგად:

- მონაწილეები დაგეგმავენ სასწავლო პროექტს ინგლისური ენის გაკვეთილისათვის პროექტზე დაფუძნებული სწავლების ძირითადი მახასიათებლებისა და პრინციპების გათვალისწინებით.
- მონაწილეები გაეცნობიან და პროექტის დაგეგმვისას იხელმძღვანელებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით.
- მონაწილეები პროექტებს დაგეგმავენ კომუნიკაციური მიმართულებების (კითხვა, მოსმენა, წერა, ლაპარაკი) სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით.
- მონაწილეები შეარჩევენ ავთენტურ შეფასებას სასწავლო მიზნების შესაბამისად და გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასების ტექნიკას პროექტების შეფასებისას.
- მონაწილეები გამოიყენებენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ელექტრონულ რესურსებს პროექტების დაგეგმვისა და წარმართვისას.

<u>მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი:</u> ინგლისური ენის მოქმედი მასწავლებლები

<u>მსმენელთა რაოდენობა:</u> 25 მსმენელი

<u>მასტერ კლასის ხანგრძლივობა:</u> 4 საათი.